საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2019 წლის ოქტომბერ-ნოემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

2019 წლის 1 ოქტომბერს ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, კერძოდ მისი 322 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„6. საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მიმართ 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგვის თაობაზე, უფლება აქვთ, 2020 წლის 31 დეკემბრამდე მიმართონ სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით.“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის 16 ოქტომბერს ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ მისი 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ე) მსუბუქი ავტომობილისათვის (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა) და მოტოციკლისათვის (მოპედის ჩათვლით) – მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;“.

მე-8 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი:

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სპორტული დანიშნულების მსუბუქი ავტომობილისათვის აქციზის განაკვეთია 100 ლარი.“

კანონი ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2019 წლის 16 ოქტომბერს შევიდა ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კერძოდ კოდექსის 268-ე მუხლს დაემატა შემდეგ შინაარსის მე-8 და მე-9 ნაწილები:

„8. თუ ამ კოდექსის 273-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სასამართლო დადგენილების პირისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საჯაროდ ვრცელდება და პირისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯაროდ გავრცელებიდან მე-3 დღეს.
9. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილებისა და ამ კოდექსის 234 1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილებისა) მხარისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯაროდ ცხადდება და მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯაროდ გამოცხადებიდან მე-3 დღეს.“.

გარდა ამისა, კოდექსის 273-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 273. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადა
1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 2341 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის შესაბამისი დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია შესაბამისი დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

2019 წლის 30 ოქტომბერს ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „დაზღვევის შესახებ“, კერძოდ მისი 28[1] მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28[1]. მზღვეველის მიერ საქართველოს ფარგლების გარეთ ფილიალის დაარსება ან შვილობილი საწარმოს შექმნა ან შეძენა

1. მზღვეველმა საქართველოს ფარგლების გარეთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით ფილიალის დაარსებიდან ან შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შეძენიდან 14 დღის ვადაში სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მზღვეველის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის დაარსების ან შვილობილი საწარმოს შექმნის ან შეძენის თაობაზე;

ბ) მზღვეველის მმართველი ორგანოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) (შემდგომ – FATF) რეკომენდაციების შესრულების მიზნით ფილიალმა ან შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

2. თუ ფილიალის ან შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული არ არის ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში არ ხორციელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:

ა) მზღვეველის მმართველმა ორგანომ უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ მზღვეველი უზრუნველყოფს თავისი ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას მზღვეველისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) მზღვეველი უზრუნველყოფს სამსახურისთვის იმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომ მისი ფილიალი ან შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს, რადგან ამას კრძალავს ან ზღუდავს ფილიალის ან შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება

2019 წლის 26 ნოემბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შევიდა შემდეგი ცვლილება:

77^1 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 77^2 მუხლი:

„მუხლი 77^2. ცალკეულ შემთხვევაში დაუფასოებელი თამბაქოს ნაწარმის მიწოდება
1. ეს მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მიზნებისათვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდების შემთხვევებს.
2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევაში:
ა) მიწოდება ხდება თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით თამბაქოს იმ მწარმოებლისათვის, რომლის შესახებ ინფორმაცია ასახულია თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში;
ბ) თუ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიწოდებას თან ახლავს ტრანსპორტირება, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მწარმოებლის მიერ გამოწერილია სასაქონლო ზედნადები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონელი არ ექვემდებარება აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას.
4. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლად არ განიხილება პირი, რომელიც ახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის მხოლოდ პირველად საფუთავებში დაფასოებას.
5. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირისათვის.
6. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში ინფორმაციის ასახვის მიზნით, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი შემოსავლების სამსახურს მიმართავს განცხადებით (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით), რომელიც უნდა მოიცავდეს მის სარეგისტრაციო

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მონაცემებს (სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საქმიანობის (თამბაქოს ნაწარმის წარმოება) მოკლე აღწერას.

7. შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში შეტანას, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს და გასცემს რეესტრში შეტანის დამადასტურებელ დოკუმენტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. ამ შემთხვევაში ჩერდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვადის დინება, რომელიც განახლდება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401 კოდში მითითებული თამბაქოს ნაწარმის საქართველოში მოყვანა და პირველადი დამუშავება არ წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის წარმოებას.“

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2019 წლის 21 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge